

ზურაბ კიკნაძე

წმ. მაქსიმეს მისტერია

მისტერიული რიტუალი, რომელიც წმიდა მაქსიმეს სახელზე და მისი უხილავი მონაწილეობით ტარდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ლეჩხუმში, კერძოდ დეხვირის თემის სოფლებში, დოკუმენტურად ადასტურებს, რომ გამოჩენილი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი მაქსიმე აღმსარებელი (580-662) სწორედ ლეჩხუმში იქნა ექსორიაქმნილი და მურის ციხეში დატყვევებული, სადაც აღესრულა კიდევ. მაქსიმეს მითოსი ადგილობრივი ლეჩხუმური წარმოშობისაა. საქართველოს სხვა კუთხეებში მისი სახელი უცნობია.

მისი „ცხოვრების“ მიხედვით, მაქსიმე აღმსარებელს – თეოლოგს, მართლმადიდებელი სარწმუნოების თავგანწირულ დამცველს მონოთელიტიზმის მოძალების ხანაში, როცა იმპერატორის კარი ამ მწვალებლობას იზიარებდა, ცილი დასწამეს იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში, კონსტანტინიპოლის სასამართლოს გადასცეს, გაამტყუნეს და მერე შეაჩვენეს. ენა ამოართვეს, რომ არ ელაპარაკა, რასაც ლაპარაკობდა, ხელის მტევანი მოკვეთეს, რომ არ ეწერა, რასაც წერდა, და ასე დასახიჩრებული მოატარეს მთელი ქალაქი კონსტანტინოპოლი. მერე სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს ლაზიკის ერთ მიერუბულ პროვინციაში, რომელსაც განსხვავებულად ახასიათებენ ბიზანტიური და ქართულენოვანი წყაროები. თუ პირველი მისი გადასახლების კონკრეტულ ადგილს სქიმარისს (შცჰმარი“) „ქრისტესმოყვარულ ლაზთა ქვეყანად“ იხსენიებს, მეორისთვის ეს ადგილები ლაზიკისა უკაცრიელნი და უნუგეშოა, „რომლისა მახლობლად არიან ველურნი და კინდა უსიტყვონი კაცნი“ [კეკელიძე 1955:279]. „ცხოვრება“ გვამცნობს, რომ მოკვეთილი მტევნის ადგილას საწერკალამი მიუბამს და ასე განაგრძობდა წერას. აქ, სახელდობრ, დღევანდელი ცაგერის მახლობლად ძველ მურის ციხეში მიიცივალა იგი. ამბობენ, მან იწინასწარმეტყველა სიკვდილის დღე და საათი. მის საფლავთან ღამ-ღამობით სასწაულებრივ ნათებას ხედავდნენ.

ეს არის მოკლე, რაც შეიძლება ითქვას მაქსიმე აღმსარებელზე ჩვენი თემის კონტექსტში.

პირველი ცნობა მაქსიმე აღმსარებლის ლეჩხუმში დაკრძალვის შესახებ (ხალხური გადმოცემის გარეშე) ეკუთვნის ვახუშტი ბატონიშვილს:

„ამ ხევს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეხედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად. ამის სამხრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსარებლისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული. არს შუენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად. მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-ადებული. მუნიდგან გარდავალს სუანეთის გზა“ [ვახუშტი:749].

პირველად გადმოცემა წმ. მაქსიმეზე ჩაიწერა კ. კეკელიძემ 1910 წელს ცაგერში და გამოაქვეყნა კიდევ 1912 წელს რუსულ ენაზე [კეკელიძე 1961:33], ხოლო 1914 წელს უფრო მეტი მასალა – პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა დ. ყიფშიძემ, რომელიც სოფ. მურში მაქსიმე აღმსარებლის საფლავის საძიებლად გათხრებს ხელმძღვანელობდა ნ. მარის დავალებით.

მაქსიმეს მითოსის 1914 წლის ჩანაწერები (ცხრა ტექსტი) პირველად გამოაქვეყნა 1969 წლის საკუთარ ჩანაწერებთან ერთად პროფ. მ. ჩიქოვანმა ნაშრომში „მაქსიმე აღმსარებელი VII-VIII სს. ქართულ ლეგენდებში“ [ჩიქოვანი 1971]. იხ. აგრ. [ალავიძე 1952] და [გარდაფხაძე 1955].

პირველ და ბოლო ჩანაწერებს შორის ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული. ამ ხნის მანძილზე მითის მახსოვარი ადამიანები ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ დეხვირის თემში, მაგრამ მისტერია, რომელიც ამ მითის საფუძველზე იმართებოდა დეხვირის სოფლების მონაწილეობით, აღარავის ახსოვდა. არათუ XX ს-ის სამოციან წლებში, არამედ 1914 წელსაც, როცა პირველი ჩანაწერები კეთდებოდა, მთხრობელთა ხსოვნით, უკანასკნელი მურობა (მაქსიმეს მისტერია) 30-35 წლის წინათ გამართულა (ანუ დაახლოებით 1880-იან წლებში).

მაქსიმე აღმსარებლის დიდი სახელი რომ არა, რამაც იმპულსი მისცა ფოლკლორული მასალის მოძიებას ლეჩხუმში (ინიციატივა პეტერბურგის სამეცნიერო საზოგადოებიდან მოდიოდა [ბრილიანტოვი 1918], საეჭვოა, გვცოდნოდა ის მინიმუმიც კი წმიდა მაქსიმეს მითოსურ სახეზე, რაც დღეს ვიცით. მართალია, მითოსის გავრცელების არეალი მეტისმეტად ვიწროა – იგი მხოლოდ დეხვირის საზოგადოებაზე ვრცელდება და მის გარეთ თითქოს არცა აქვთ გაგონილი, ეს სივიწროვე მისი მითოსური სიღრმით არის ანაზღაურებული. ისიც უნდა, რომ მაქსიმეს ამბავი შეიძლება ლეგენდად დარჩენილიყო, რომ იგი, როგორც სცენარი, ყოველწლიურ რიტუალს (მისტერიულ ქმედებას) არ დასდებოდა საფუძველად. ამრიგად, ჩვენს წინაშეა მითოსი კლასიკური გაგებით. აქ არის სიტყვიერი ტექსტი – მითოსი და ქმედება – რიტუალი, რასაც ეს ტექსტი უდევს საფუძველად.

მაქსიმეს მითოსის ქარგა ასეთია, როგორც კ. კეკელიძის, დ. ყიფშიძის, მ. ჩიქოვანის, ფ. გარდაფხაძის და მ. ალავეძის ჩანაწერების მიხედვით შეგვიძლია შევადგინოთ:

I. მაქსიმე კეთილი კაცია, კაცთმოყვარე, "ღვთისმორწმუნე". ის დეხვირში ცხოვრობს, ერთი დიდი ცაცხვის ღრუში, მაგრამ არავინ იცის, საიდან მოვიდა; დადის სოფელ-სოფელ ეკლესიებში სალოცავად; და უსამართლობის აღმოსაფხვრელად. „როგორც მგზავრი დანავალა წმიდა მაქსიმე. მისი ერთ ადგილზე გაჩერება არ იქნებოდა“.

II. დეხვირში ცხოვრობს კაცი, გვარად ჭაბუკიანი (შერქმეული გვარი ქარეიშილი), მაქსიმეს სრული ანტიპოდი: ავი, უკეთური, მავნე; უღვთო, ურწმუნო; უქმისა და მარხვის გამტეხი. „ჩვეულებათ ქონდა, რომ საქონელს სხვის ყანაში შედენიდა“.

III. მაქსიმე მრავალგზის ამხილებს ჭაბუკიანს, მაგრამ ამაოდ. სხვის ყანაში შერეკილ მის საქონელს უკანვე გამორეკავს. გარღვეულ ღობესაც აღადგენს. აფრთხილებს, მაგრამ ქარეიშილი არ იშლის ავკაცობას.

IV. კალობა დღეს, როდესაც სოფელში პაპანაქებაა და ყველა ლეწავს პურს, ჭაბუკიანის კალოს თაგზე ღრუბელი გამოჩნდება და დანამავს გასალეწად დაყრილ ძნებს. ჭაბუკიანი ვერ ახერხებს პურის ლეწვას. ასე მოხდა მეორე, მესამე დღესაც.

V. ბრახმორეული ჭაბუკიანი თოფს ესვრის ღრუბელს და მის წინ მკვდარი მაქსიმე დაეცემა.

VI. ჭაბუკიანი მაღულად მარხავს მკვდარს მკვლელობის ადგილზე. ღამით მოინახულებს საფლავს, მკვდარი ზეზე დახვდება და, ასე სადაც დამარხავს, ყველგან იგივე მეორდება (დამარხვის ადგილებია: ჭურისწყალი-დეხვირის ძველი ეკლესია-კოკოშას წვერი-ცხეთის ეკლესია-გენიშის წვერო-ჩხუტელის ეკლესია).

VII. მკვდრის დაუმარხაობით გაწამებულ ქარეიშილს სიზმარში ეცხადება მაქსიმე და ურჩევს, მარხილზე დაღონ მისი გვამი, მარხილში გაუხედნავი მოზვრები შეაბან და გაუშვან. სადაც ხარები დაეცემიან, იმ ადგილზე დამარხონ.

მოზვრები დიდი სისწრაფით გაივლიან ცხეთას, ორბელის წვერს, მურის ხიდს და ჩხუტელის ბოლოში, მურის ციხესთან დაეცემიან. აქ დამარხავენ მას. დამარხვა მითოსის ნარატივის კულმინაციაა, მაგრამ ის არ არის თვითმიზანი, მას დამატებითი საზრისი აქვს: გარდა იმისა, რომ აღსრულებულია წესი და

მკვდარი დამარხულია მთელი სოფლის მონაწილეობით (ანუ აღდგენილია მკვდის სამართალი), დამარხვის ადგილი შემდგომ დაწესებული მისტერიული პროცესიის საბოლოო პუნქტი იქნება. მანძილი პირველ და მეორე დამარხვის ადგილებს შორის მისტერიული მსვლელობის გზაა. მოგვიანებით ამ გზის ბოლოს, საბოლოო დამარხვის ადგილზე, ააგებენ ეკლესიას წმ. მაქსიმეს სახელზე.

მკვდრის დამარხვით ყველაფერი არ მთავრდება. უთუოდ რაღაცის ნიშანია, რომ წმ. მაქსიმეს დამარხვისთანავე წამოვიდა საშინელი წვიმა და ახლა არა მხოლოდ ქარეიშვილი, არამედ მთელი სოფელი ვეღარ ლეწავს პურს. ჩანს, სოფელიც ცოდვაშია გარეული.

IX. იწყება ქარეიშვილის სინანული: ახლა მაქსიმე მეორეგზის ეცხადება თავის მკვლელს და აფრთხილებს, რომ მის კალოზე მხოლოდ მთელი სოფლის თხოვნით გამოადარებინებს. ასწავლის კიდევ, როგორ უნდა მოიქცნენ, როგორ ილოცონ მის მიმართ, რომ შეწყდეს წვიმა ან თუ გვაღვაა – მოვიდეს წვიმა.

ეს არის მითოსის ნარატივის უკანასკნელი ზღურბლი, როცა დასაბამი ეძლევა მისტერიას: წმ. მაქსიმე სოფელს უწესებს რიტუალს, რომელიც მან გვაღვების ან გამუდმებული წვიმების დროს უნდა შეასრულოს. მისტერიის დაწესება სოფელში ზნეობრივი გარდატეხის შემომტანია. სოფელში ახალი ცხოვრება იწყება: მას უკვე ჰყავს მეოხე წმიდანი.

მისტერიის მიმდინარეობას ამგვარად მოგვითხრობენ მისი უკანასკნელი მონაწილენი, მათ შორის იმ პირველი ჭაბუკიან-ქარეიშვილის მოგვარეც. გავეცნოთ მისტერიას (ვიძლევი სხვადასხვა ჩანაწერებისგან შეთხზულ ტექსტს).

გვაღვაში ან ავღარში, დანიშნულ დღეს (ორშაბათს ან ხუთშაბათს), როგორც სოფელი მოილაპარაკებს, დილაადრიანად ბუკისცემაზე შეიყრება დეხვირის საზოგადოების ხუთი სოფლის (ჩვალბეჩი, ცხეთა, ლასხვანა, წილაძიერი, ლესინდი) წარმომადგენლობა – ორმოცამდე კაცი, კომლიდან თითო წმიდად თავშენახული, ერთი კვირის მოწმიდარი, მამაკაცი (ქალის მონაწილეობა მისტერიაში არასგზით არ შეიძლებოდა). ფეხშიშველა და უქამრო მემურეები (ასე ეწოდებოდათ მისტერიაში მონაწილეებს) ქარეიშვილის და ასევე ფეხშიშველა მღვდლის წინამძღოლობით ჯერ ჭურის წყალში დიდ ცაცხვთან მიდიან (ეს ის ადგილია, სადაც წმ. მაქსიმე პირველად დამარხა ქარეიშვილმა), იხოქებენ და ევედრებიან: „წმიდა მაქსიმე და ღმერთო, შენი გაჩენილია ცა და ქვეყანა! გამოგვიდარე!“. აქედან დაიწყება პროცესია გამალებით სვლას იმ გზაზე, რომელიც ხარებმა გაიარეს, როცა წმ. მაქსიმეს ცხედარს დასამარხად მიასვენებდნენ. ამით მემურეები მას ჟამს მომხდარი ამბის მონაწილენი ხდებიან. ახლა ესენი, ეს თაობა მარხავს მაქსიმეს. ახლა გალობით (წამომწყები, როგორც წესი, ქარეიშვილია), ჩოქისმოსხრით და ვედრებით – „წმიდა მაქსიმე, დარი გვიბოძე! შეგვიხვეწიე! ოოჰიო! ოოჰიო!“ გაივლიან ყველა ადგილს, სადაც ხარებმა გაიარეს და, მათთან ერთად, მაქსიმეს ცხედარმა. ორბელის წვერზე, ჯვართან, სინანულის ნიშნად კისერზე თხილის ღვეურჭებს შემოიჭერენ და განგრძობენ გზას წმ. მაქსიმეს საფლავამდე, სადაც მისი სახელობის ეკლესია დგას.

რაკი მემურეები ხარების გზას განუხრელად მიყვებიან, ხოლო ამ გზაზე დროთა ვითარებაში ან შენობა აიგო, ან ყანა გაჩნდა, მათ არ აკავებთ არც სახლი, თუ ის ძველ გზაზეა აშენებული – კარებიდან შედიან და ფანჯრიდან გადადიან, არ აკავებთ არც ყანა, არც ბოსტანი, არც ეზო და ღობე – ყველაფერს ანგრევენ, არღვევენ, გადათელავენ, არავის და არაფერს არ ერიდებიან. მათი შემხვედრი ქუდს იხდის და მოწიწებით უთმობს გზას, თორემ გათელავენ. თუ შემხვედრი ვინმე გაიცინებს, კარგი დღე არ დაადგება – გატყეპავენ. ნამდვილად, ეს გატყეპა არ იქნებოდა ოდენ რიტუალური.

ღვლერტყებშებმული ხალხი საბოლოოდ მურში ჩადის და ეკლესიასთან ჩერდება, სამჯერ შემოუვლის ეკლესიას. მერე დაიხოქებს, მოთქვამს და არა მხოლოდ დარს, არამედ პატიებას შესთხოვენ წმ. მაქსიმეს და ღმერთს. მერე „მოციქულს“ (მღვდელი იქნება თუ მნათე) შესთხოვენ, გვიშუამდგომდეო. მოციქული შედის ეკლესიაში, მცირე ხნის შემდეგ გარეთ გამოდის და ხალხს ეუბნება: მაქსიმე ძალიან განრისხებულია, არ შეიწყნარა თქვენი ვედრება, დიდად ცოდვილები ხართო. უქმეს ტეხავთ, მარხვას არ იცავთო. ხალხი: ოღონდ ახლა გვაპატიოს და აწი აღარ შევცდებითო. ასე ორგზის. მესამედ რომ გამოვიდოდა მოციქული, ახარებდა ხალხს, შეგინდოთ, გააპატიათ ცოდვები მაქსიმემ. ხალხი შეიხსნის ღვლერტყებს, იქვე დაყრის და უკან გაბრუნდება. მთხრობელი უმატებს, მემურეები დაშლას ვერ ასწრებდნენ, რომ წვიმა დასცხებდა ან გამოიდარებდაო (იმისდა მიხედვით, თუ რას ევედრებოდნენ).

ჩვენს წინ არის ადგილობრივი ნიადაგიდან (ვიწრო მიკროსამყაროდან (როგორც არის დეხვირის საზოგადოება ლეჩხუმში) ამოზრდილი უნიკალური მითოსი, რომლის ტექსტი ცნობილი უნივერსალიებისგან არის შექერვილი. რეალური მაქსიმე მურის ციხის პატიმარია, რომელსაც, საეჭვოა, იქ მყოფობის ხანს ოდესმე დაეტოვებინოს საპატიმრო. ფოლკლორული გადმოცემა კი საპირისპიროს გვეუბნება: „როგორც მგზავრი დანავალა წმიდა მაქსიმე. მისი ერთ ადგილზე გაჩერება არ იქნებოდა“. ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი, ადვილად დასამახსოვრებელი მისი უენობა და უხელობა, ფოკლორისთვის უცნობია.

უცხოობა, მწირობა, მსხემობა, უმკვიდრობა მაქსიმეს ღირსშესანიშნავი დახასიათებაა. ძნელია სათქმელია, როგორი ქრისტესმოყვარული უნდა ყოფილიყო დეხვირის მოსახლეობა VII საუკუნის შუა წლებში, მაგრამ ადვილი გასაგებია რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მათზე მურის ციხის პატიმარს, რომელიც ალბათ თვალთაც არ უხილავთ და ვერც მისი გადასახლებისა და დასახიჩრების მიზეზს ხვდებოდნენ. ერთი რამ კი ცხადია: მათ თვალში ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად უცხო, სრულიად სხვა (რუდოლფ ოტოს ტერმინით, განზ ნდერე), რომლის წარმომავლობა არავინ იცოდა, ვინ იყო, საიდან მოვიდა, უდედმამო, უთვისტომო როგორც ბიბლიური მელქიცედეკი; სად ცხოვრობდა, ისიც არ იცოდნენ – ამ უცხოობის ნიშნად ცაცხვის ფულუროსაც ასახელებენ; კაცი, რომელმაც თავისი სიკვდილით და დამარხვით გადატრიალება მოახდინა სოფელში.

ამ უცხოობით მაქსიმე ერთდროულად ენათესაება როგორც მითოსურ პიროვნებებს, ასევე ქრისტიან ბერებს, ასკეტებს, რომლებიც გამიზნულად სტოვებენ თავიანთ სამშობლოს (მათი პროტოტიპი ისევ და ისევ ბიბლიური აბრაამია) და უცხო ქვეყანაში ეწვეიან ღვაწლს. ერთი მათგანის სახე რელიეფურად აქვს დახატული აკაკი წერეთელს „თორნიკე ერისთავში“. გაბრიელ სალოსი ჩამოდის სოფელში კაცთაგან მიუწვდომელი მღვიმიდან, ეხმარება სოფელს ყოველ საქმეში და კვლავ ადის თავის სამყოფელში. საბოლოოდ, ის გაუჩინარდება („ადარვინ იყო საქართველოში / იმ დღიდან იმა ბერის მნახველი“).

ასკეტის, ქრისტიანი მოღვაწის უმაღლესი სტატუსია მისი წარმომავლობის სრული დაფარულობა, როცა მის სამშობლოდ ერთადერთი “ზეციური იერუსალიმი“ („უსაკუთრესი მამული ზენად იერუსალემი“) რჩება. სწორედ აქედან მოდის ის უცხო ქვეყანაში "ზეციური" წესრიგის დასამყარებლად.

ერთი ჩანაწერი მიხედვით, მაქსიმეს ადგილსამყოფელი ცაცხვის („ცაცხვი“ ლეიტმოტივია მაქსიმეს მითოსსა და მისტერიაში) ფულუროა. ფულუროში ბინადრობა შეიძლება მიანიშნებდეს სწორედ იმას, რომ იგი არ ეკუთვნის ამ სოფელს (ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით), ტრანსცენდენტულია მისგან.

მაგრამ მისი სამყოფელი შეიძლება ღრუბელიც იყოს, საიდანაც მოვევლინება იგი, როგორც დამსჯელი, გაბუდაყებულ ჭაბუკიანს.

მაქსიმეს თვისებაა დაუდგრომლობა. „მისი ერთ ადგილზე გაჩერება არ იქნებოდა“, „დადიოდა სოფლა-სოფლა“ – ამგვარად აისახა მისი არსება მოსახლეობის შეგნებაში. ის ნამდვილი მსხემია, მწირია ამ მიკროსამყაროში. ამ დაუდგრომლობითაც, გამუდმებული გადანაცვლებით ის უპირისპირდება მკვიდრ სოფელს. და ამით ქრისტიანულ იდეალს ახორციელებს ამ სოფელში.

მაქსიმეს მისია ჭაბუკიანის არსებობით აშკარავდება. ჭაბუკიანის ანტისოციალური და ანტიზნეობრივი საქციელი რომ არა, მაქსიმე საერთოდ არ გამოჩნდებოდა სოფელში. მაგრამ სადაც დანაშაულია, იქ მხილებაც არის, ხოლო სადაც სამხილებელია, იქ არის მამხილებელიც და სასჯელის აღმსრულებელიც.

ჭაბუკიანი დანაშაულს სჩადის ღვთის წინაშე და სოფლის წინაშე. ღვთის წინაშე დანაშაული უქმის გატყევაში გამოიხატა. უქმობა თუ ღვთაებრივი წესრიგის ნიშანია სოფელში, მისი დარღვევა, არის ჯანყი ღვთაებრივი წესრიგის წინააღმდეგ.

სოფლის წინაშე დანაშაული აგრესიულობაში, თანამესოფლეთა უფლებების უგულებელყოფაში და შელახვაში გამოიხატება. ჭაბუკიანი (ქარეიშვილი) ეკუთვნის იმ გაბუდაყებულ ადამიანთა (თუ ოჯახთა, საგვარეულოთა) რიცხვს, რომლებიც ცდილობენ სოფელზე რაიმე ნიშნით გაბატონებას. გაბუდაყებულთა აგრესიას ეწინააღმდეგება სოფელი, მაგრამ სოფელი თუ უძღურია მათ წინაშე, სოფლის უზენაესი პატრონი (წმიდანი, ჯვარი) გამოდის მათ მეოხედ, როგორც გაბუდაყებულთა აგრესიის აღმკვეთი და დამსჯელი [კიკნაძე 1996:172-4].

მაგრამ ჭაბუკიანის ქმედება არ არის უბრალო აგრესია მეზობლის მიმართ. მისი დანაშაულს სხვა განზომილებაც აქვს. ჭაბუკიანი თავისი ქმედებით – ხარების შერეკვით მეზობლის ყანაში და მისი მოსავლის განადგურებით, ყანას საძოვრად აქცევს. ყანა ყანაა, საძოვარი – საძოვარი. მათი ფუნქციები მკვეთრად არის გამოიჯნული სოფლის მეურნეობის სისტემაში. ეს სოფლის სამეურნეო წესრიგია. ამ წესრიგს უპირისპირდება, არ ცნობს და არღვევს ჭაბუკიანი, რომელიც ამ წესრიგის ერთ-ერთი წევრი უნდა ყოფილიყო.

ჭაბუკიანი სარგებლობას მოელის თავისი ქმედებით, მაგრამ ეს ქმედება მას სოფლის გარეშე აყენებს. ის არღვევს კოსმოსს და ეს დარღვევა მის წინააღმდეგ შემოტრიალდება. ის ამ „დარღვეულში“, როგორც ქაოსში, აღმოჩნდება. ის უკვე აღარ ეკუთვნის სოფელს და ამიტომაც ვეღარ ისარგებლებს მისი სიკეთით. ის განუდგა უკვე სოფელს და სოფელიც განუდგება მას. როგორ გამოიხატა სოფლის (სიტყვის ფართე აზრით) განდგომა? სწორედ ისე, როგორც ერთ ხალხურ ლექსშია ნათქვამი:

მე სოფლის თავსა ვესახლე,
არა სოფელი ჩემ თავსა.
სოფელი კარგა მთავსობდა,
თუ მე სოფელი მეთავსა.
რაც მე სოფლისთვის ვინდომე,
უწინ მოვიდა ჩემ თავსა.

კონკრეტული გამოხატულება მისი გაბუდაყებისა – საქონლის შედენა სხვის ყანაში გამოსაკვებად ამ მითოსში შემთხვევითი არ არის. სოფელში, სადაც ერთმანეთის გვერდით ჰარმონიულად უნდა იარსებონ სამიწათმოქმედო და სამესაქონლეო კულტურებმა, ჰუბრისის სახედ (ტიპად) სწორედ მათი ურთიერთადრეკვაა მიჩნეული, რაც არღვევს სოფლის კოსმოსს. შესაძლოა, აქ სხვადასხვა კულტურების დაპირისპირების ანარეკლი იყოს – მესაქონლეობა (მწყემსური კულტურა, ცხოვრების წესი) უტევს აგრიკულტურას, აზიანებს მას. ამ ურთიერთობის მშვიდობიან გადაწყვეტას ვადასტურებთ ერთ შუამერულ

სიმღერაში, სადაც ინანა-ქალღმერთის ხელის თხოვნაში დამარცხებული მიწისმუშაკი ენქიმდუ გზას უხსნის გამარჯვებული მწყემსის, დუმუზის, ფარას თავის ყანაში საძოვებლად, ოღონდ მას შემდეგ, რაც ყანა აღებულია [კიკნაძე 1987:11]. ერთი გუდამაყრული ანდრეხის მიხედვით, გაბუდაყების მწვერვალია თეთრი ხარების ყოლა, რომლებითაც თუ მათი პატრონები, ერთი მხრივ, ხნავენ საკუთარ ყანებს, მეორე მხრივ, ასაღებად გამზადებულ მეზობლის ყანებს აძოვებინებენ. ეს განსაკუთრებული აგრესია სოფლის მიმართ ხდება მათი გადაშენების მიზეზი [კიკნაძე 1996:176].

კალოობის დღეს, როცა მთელ სოფელს მზე აცხუნებს, ჭაბუკიანის კალოს თავზე საწვიმარი ღრუბელია. წვიმის წვეთები ნამავს კალოზე გაშლილ ძნებს, რაც შეუძლებელს ხდის მათ ლეწვას. ეს არის მისი სასჯელი, რომელიც ლოგიკურად მოსდევს მის საქციელს. როგორი დარღვევაც არის ყანის გადაქცევა (გამოყენება) საძოვრად, ასეთივე დარღვევაა სოფლის კოსმოსში კალოს თავზე საწვიმარი ღრუბლის გამოჩენა. მთავარი აქ ის არის, რომ ჭაბუკიანი იმყოფება უკვე არა სოფელში, სოფლის წესრიგში, არამედ სოფლის გარეთ, უწესრიგობაში. და ეს არის მისი სასჯელი, რომელიც თავად მან გამოუტანა თავის თავს.

თუ სოფელში წესრიგი დარღვეულია, წესრიგი უნდა აღდგეს. რადგან წესრიგი არ არის სოფლის იმანენტური, ის კვლავ გარედან შემოდის. მამხილებელი არ შეიძლება სოფლის მკვიდრი იყოს. ის უცხო უნდა იყოს.

მაქსიმე თავისი ხელით ცდილობს წესრიგის აღდგენას. თავისი ხელით მრავალგზის ერეკება ჭაბუკიანის საქონელს მეზობლის ყანიდან, მაგრამ ამაოდ. ჭაბუკიანი კვლავ და კვლავ განაგრძობს თავის უკანონო და უღვთო ქმედებას. სოფელიც შეგუებულია ქარეიშვილის ქმედებებს, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო; შეგუებული იყო, როგორც ის სოფელი, რომელიც გუდამაყრულის ანდრეხის ჯაუნარებმა დაიმორჩილეს. გარკვეულწილად, სოფელსაც მიუძღვის ბრალი, რომ თავისი უმოქმედობით გასაქანი მისცა ამგვარ ქმედებას. სხვაგან, საქართველოს სხვა კუთხეში, როგორც გუდამაყარში, ღვთის რისხვა ეწევა სოფლის მოძალადეს, მაგრამ არსებობს მთელი წყება ანდრეხებისა, სადაც თავად სოფელი, როგორც ერთი კაცი, სამანს უდებს გაბუდაყების ქმედებებს [კიკნაძე 1996:172-175]. მთელი სოფელი კისრულობს პასუხისმგებლობას მოძალადის სისხლზე, რომელიც უსათუოდ უნდა დაიღვაროს. როცა ფუთა დადემქელიანს სოფელი (უშგული) გამოუტანს განაჩენს. ის ტყვია, რომლითაც მათი შემავიწროებელი უნდა მოეკლათ, მთელი სოფლისგან გაღებული ტყვიის ნამცეცებისგან იყო ჩამოსხმული; ის ბაწარი, რომელიც თოფის ჩახმახზე იყო გამობმული, მთელმა სოფელმა გამოსწია. როგორც წესი, ეს განსაკუთრებით ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებზე (საყმოებზე), გაბუდაყებული პიროვნება, რომელსაც სურს საკუთარი წესები მოახვიოს სოფელს, სოფლისავე ხელით ისჯება. მაგრამ ჭაბუკიან-ქარეიშვილის მითოსს სხვაგვარი დასასრული აქვს.

რატომ მიიღო ასეთი მიმართულება ქარეიშვილის ისტორიამ?

მაქსიმეს უნდა მოემოქმედა ისეთი რამ, რაც აიძულებდა ჭაბუკიანს, შეეცვალა ცხოვრების ნირი. და მაქსიმე შეეწირება მსხვერპლად ჭაბუკიანის მოქცევას. მაქსიმე მსხვერპლია, სოფლის სამხილებლად შეწირული. და მსხვერპლმა, მხოლოდ ეს გამართლება აქვს მსხვერპლს, უნდა მოიტანოს დიდი სიკეთე, საფუძვლიანად შეცვალოს სოფელი. და ეს ასეც ხდება.

ამიერიდან ჭაბუკიანი ემსახურება მის მიერ მოკლულ მაქსიმეს. მან უნდა დამარხოს მკვდარი. აქ შემოდის მოტივი დაუმარხავი მკვდრისა, რომელიც აწვალებს მკვლელს. ეს კომმარია, რომელიც უნდა განიცადოს და გადაიტანოს ჭაბუკიანმა. ეს კომმარია მისი კათარზისის პირობაა. "ასე ეწამა მკვლელი",

ამბობს თქმულება. ჭაბუკიანი ვერ ახერხებს მკვდრის დამარხვას, რადგან მკვდარს არ სურს დაიმარხოს იქ, სადაც მკვლელი თვითნებურად, შეიძლება, ითქვას, დანასაულებრივად, მარხავს მას. თქმულების ვარიანტებში მკვდრის მიერ უკუგდებული საფლავეის რიცხვი სამიდან ათამდე მერყეობს.

მაქსიმეს არ სურს დაიმარხოს იმ წესით (თუ უწესობით), როგორც ჭაბუკიანი მარხავს მას. რადგან ჭაბუკიანი კი არ მარხავს მას, არამედ მაღავს, თავისი ნამოქმედარის უტყვე მოწმეს. ამრიგად, ჭაბუკიანი ამგვარი დამალვით მაქსიმეს ცხედრისა, თავის ნამოქმედარის დამალვასაც ცდილობს. მაგრამ არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს. მაქსიმე მოითხოვს დამარხვის წესსა და რიგს. მას არ სურს, რომ მისი საფლავეი დაფარული იყოს სოფლისგან. შესაძლოა, დამარხვა არ არის იყოს მისთვის თვითმიზანი, თუმცა, როგორც ქრისტიანს სურს, ქრისტიანული წესისამებრ დაიმარხოს. დამარხვის საბოლოო მიზანია სოფლის დაყენება ახალ წესზე. იმის დაწესება, რაც აქამდე აკლდა სოფელს ან რაც დავიწყებული ჰქონდა, ან მიშვებული იყო ქარეშივილ-ჭაბუკიანის მოძალადეობით.

ჭაბუკიანის ცოდვა მთელ სოფელზე გადადის. კერძო დამოკიდებულება (ურთიერთობა) მაქსიმესთან საერთოსასოფლო მნიშვნელობას იძენს.

ამრიგად, ჭაბუკიანი, მკვლელი, არის მისტერიის არქეტიპული შემსრულებელი. ამ გარემოებას ის მითოსურ დროში გადაჰყავს.

თუმცა ორივე ეს დრო ერთ სისტემაშია მოქცეული, – პირველ ქმედებასა და მის განმეორებას შორის არ არის დროული ხარვეზი ანუ სიუჟეტური დრო უწყვეტია. მითოლოგიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ მას, სხვაა ჭაბუკიანის დრო და სხვაა დრო სოფლისა, რომელიც იმეორებს იმ გზას, რომელიც ჭაბუკიანმა გაიარა მაქსიმეს გვამთან ერთად. ჭაბუკიანი გამოდის რიტუალის დამწესებლის როლში. ახლა ის ინიციატორია.

ამრიგად, მაქსიმემ სოფელში აღადგინა (ან დაამყარა) წესრიგი იმ ადამიანისავე ხელით, რომელიც არღვევდა მას. ახლა ჭაბუკიანი ერთ-ერთი გულმხურვალე მოთაყვანეა წმ. მაქსიმესი. ის პირველთაგანია მათ შორის, ვინც მიუძღვის პროცესიას იმ გზაზე, რომელიც მან, მოძალადემ, ცოდვილმა, კაცისმკვლელმა, თავის მსხვერპლთან ერთად გაიარა. დანაშაულისა და შეცოდების გზა სინანულისა და განწმედის გზად გადაიქცა ჯერ მისთვის, მერე მთელი სოფლისთვის.

შენიშვნები.

1. მოტივი გაუხედნელი მოზვრებისა, რომლებიც შეუმცდარად მიადგებიან მაქსიმეს საბოლოო დამარხვის ადგილს თავის არქეტიპს ბიბლიაში (ძველ აღთქმაში) პოულობს. გავისხენოთ უფლის კიდობნის სვლა ფილისტიმელთა ქვეყნიდან ისრაელის სასაზღვრო დაბაში ურმით, რომელშიც უღელდაუდგმელი ძროხები იყო შებმული (1მეფ. 6:4-14). ეს მითოლოგემა ფართოდ არის გაგრცელებული საქართველოში. მასზეა აგებული, მაგალითისთვის, ძარწემის (ცხინვალის მახლობლად), ლომისის და სპარსანგელოზის ხატების ტყვეობიდან დაბრუნების ანდრეზები [კიკნაძე 1996:21-23]. ამ მითოლოგემის საზრისი ასეთია: ცხოველებს, რომელთაც ადამიანებისგან განსხვავებით, საკუთარი ნება არ გააჩნიათ, ეკისრებათ ღვთის ნების გატარება, რასაც ისინი დაუბრკოლებლივ ასორციელებენ.

2. ერთ მოგვიანო ჩანაწერში ვკითხულობთ:

„მამანემის ბაბუა ძაან მოხუცი მახსოვს, მე 10 წლის ვიყავი, როცა ის მოკვტა. ის კი 100 წელს იყო მიღწეული. ამ ადგილის შესახებ ასე იტყოდა: აქანე ქრისტიანობის დიდი ქომაგი და უდიდესი მორწმუნე არის დამარხულიო. მას თურმე მაქსიმე ერქვა. ის ძალიან უწამებიათ იმისთვის, რომ მორწმუნე კაცი ყოფილა. ნაწამები დოუკრავთ მარხილზე, შოუბამთ უღელში გოუხედნავი მოზვრები და გამოუშვიათ ასთე უგზო-უკვლოთ. ეს ძაან შორეს მომხთარა,

ქვეყნის დასალიერში. წამოსულარიან ხარები, ბრველი თუ ცოტა უარიათ, არავინ იცის. როცა აქანე, ამ ადგილზე, მოსულან ხარები, იქინე მკვეტრები დაყრილარიან. მარხილზე დაკრული კაცი კი ცოცხალ-მკვეტარი ყოფილა, სულს დაფავდა თურმე. აქანე ცოტა ზერე არის მურის სალოცავი. იქინე ვიდაც ბერი ყოფილა, მას ყოლიფერი ეს უნახავს. მარხილიდან გადმოუყვანია ის კაცი. ამ კაცს უცვათ ლაპარაკი დოუწყია (მას ენა ქონია ამოჭრილი) და უთქვამს, ვინც ყოფილა. მას მერმე ბევრი აღარ უცოცხლია. მასთან ყველა მოდიოდა, ყველას ლოცავდა, ავამტყოფებს კი, ვისაც ხელს მოკიდებდა, არჩენდა. საცხა ის კაცი ყოფილა, იქინე ჯერე პეტერე წყალი ამოსულა, მერე მოუმატია და ახლა ქე ხედავთ, რანაირი კაი წყაროა. კვტარსაც კი აცოცხლებს ეს წყალი. როცა წმინდა მაქსიმე კვტებოდა, თურმე მისი სხეულიდან ნათელი გამოდიოდა. მომკვტარა და აქენე დოუმარხიათ და თანე სალოცავი ოუშენებიათ... მე ღამე ბევრჯერ გამივლია ამ ადგილს და დამინახავს წითელი ბურთივით მრგვალი, რომელიც ნათელს აფრქვევს. ყოველ მაქსიმობას მოდის აქ ხალხი და ლოცულობს. ამ წყალს სვამენ და ძალა ემატებათ“ (ნორა მეშველიანი, 76 წლის, 1986 წ., სოფ. ჩხუტელი).

რამდენადაც განსხვავებულია ეს ტექსტი ყველა სხვა დანარჩენი ჩანაწერისგან, იმდენად თანხმობაშია იგი წმ. მაქსიმე აღმსარებლის რეალურ ბიოგრაფიასთან: მაქსიმე ხომ უკვე ნაწამები გამოგზავნეს ლაზიკაში შორეული კონსტანტინოპოლიდან („ეს ძაან შორეს მომხთარა, ქვეყნის დასალიერში“). მურის ციხის რეალურ ტყვეს არ შეეძლო მიმოსვლა მეზობელ სოფლებში იმ მისიით, რომელსაც მას მითოსი აკისრებს. ეს ვერსია არ იცნობს ჭაბუკიან-ქარეიშივლს, არ იცნობს არც მაქსიმეს მისტერიას, რაც, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს, რამდენადაც, როგორც ჩანაწერის ავტორი გადმოგვცემს, მაქსიმეს ამბავი მას მოუსმენის დიდი ბაბუისგან, რომელიც დაახლ. 1920 წელს ას წელს მიტანებული გარდაცვლილა. 1820-ან წლებში დაბადებულ ჩხუტელის მკვიდრს კარგად უნდა სცოდნოდა მაქსიმეს მითოსი და მასზე აგებულ მისტერიაშიც შეეძლო მონაწილეობის მიღება. შესაძლებელია, აქ საქმე გვაქვს ათი წლის ბაღის მესხიერებაში დიდი ბაბუის (გვარად მეშველიანის) მონათხრობის გადასხვაფერებასთან, ან დიდმა ბაბუამ ათი წლის ბაღის ის ვერსია უამბო, რომელიც მას ისტორიული მაქსიმეს შესახებ 1914 წელს პეტერბურგიდან ჩამოსული პირებისგან ჰქონდა მოსმენილი.

ასეა თუ ისე, ეს ჩანაწერი იმით არის საგულისხმო, რომ ასახავს მითოსის გვიანდელ მდგომარეობას, როცა მას დაკარგული აქვს თავისი მეორე, რიტუალური მხარე. მაგრამ მაქსიმეს მითოსს არ განუცდია სეკულარიზაცია: ინფორმატორისთვის მაქსიმეს საფლავის ადგილი წმიდა ადგილია, სადაც ჰიეროფანია არ შეწყვეტილა („ნათელს აფრქვევს“), თუმცა მისტერია დავიწყებას მიეცა.

დამოწმებული ლიტერატურა

აღავიძე 1952: მ. აღავიძე ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1952.

ბრილიანტოვი 1918: А. И. Бриллиантов, О месте кончины и погребения св. Максима Исповедника, «Христианский Восток». Т. VI Вып. I. Петроград. 1918.
მეორედ დაიბეჭდა წიგნში: პირველად დაიბეჭდა ჟურნალში: А. И. Бриллиантов, Император Константин Великий и Миланский эдикт 313 г. - О месте кончины и погребения св. Максима Исповедника. Изд. Олега Абышко, Санкт-Петербург, 2006ю

გარდაფხადე 1955: გარდაფხადე ფ. ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), 1955.

ვახუშტი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ქართლის ცხოვრება IV, 1973).

კეკელიძე 1955: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან III, 1955.

კეკელიძე 1961: Кекелидзе К. С. Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, წიგნში: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან VII, 1961. პირველად დაიბეჭდა უურნალში: Труды Киевской Духовной Академии, 1912, Сентябрь-Ноябрь.

კიკნაძე 1987: ძველი შუამდინარული პოეზია, შუამარულიდან და აქადურიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, თბ., „მერანი“, 1967.

კიკნაძე 1996: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

კიკნაძე 1979: ზ. კიკნაძე შუამდინარული მითოლოგია, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ოჩიაური 1968: თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მეცნიერება“, თბ., 1968.

ჩიქოვანი: მ. ჩიქოვანი, მაქსიმე აღმსარებელი VII-VIII სს. ქართულ ლეგენდებში, წიგნში: ჩიქოვანი მ. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თსუ, თბ., 1971.

Z. KIKNADZE
(Tbilisi State University)

Mythological Tradition on St Maximus (Summary)

According to Greek sources, St Maximus the Confessor (582-662), an outstanding Byzantine theologian, was exiled to ‘Lazica’, namely Lechkhumi, where he died. Following his death, he was canonized. His sojourn in Lechkhumi left behind the trace of myth and ritual performed to the end of the 19th century. According to the myth, Maximus is a victim, laying down his life for the restoration of social and moral order in the village. The person who breached the peace and killed Maximus (though involuntarily) Maximus and who also opposed the whole village aggressively, turns into a follower of Maximus’ commandments, repents his crime and, inspired by him, institutes a ritual (analogous to Lazaroba), through which good and bad weather is regulated in the village. The Maximus’ myth contains current mythologems and motifs and, which is important, with its entire content it constitutes the tradition of the institution of the ritual (mystery). Hence, it is interesting in the general aspect of interrelationship of myth and ritual. Originated in Lechkhumi, this myth and the corresponding ritual is unknown in other regions of Georgia.